ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5118944

ნომერი: AR1775522

თარიღი : 22.09.2020

გაცემის თარიღი : 28.09.2020

გაცნობის თარიღი : 28.09.2020

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, სულხან ცინცაძის ქუჩა, N 15;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ლევან დოლიძე პ/ნ 01008021408
- ი. აბაშიძის #40

ორგანიზაცია:
- შ.პ.ს. "Arch Shop" კოდი: 404992594

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა დემონტაჟი

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის

ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:

იმისთვის რომ სამსახურმა იმსჯელოს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მიუთითეთ მოთხოვნის ტექსტურ ნაწილში, რომელი შენობა ნაგებობის დემონტაჟია დაგეგმილი.

ამასთან მოგახსენებთ, იმ შემთხვევაში თუ დაგეგმილია #3 შენობა ნაგებობის დემონტაჟი, წარმოსადგენია სადემონტაჟო შენობის კანონიერების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, აქვე გაითვალისწინეთ რომ იმ შემთხვევაში თუ ზემოაღნიშნული ნაგებობა წარმოადგენს უკანონოს, დემონტაჟისათვის უნდა მიმართოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურ ინსპექციას, რადგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური უნებრართვოდ აშენებულ შენობა-ნაგებობაზე ვერ გასცემს დემონტაჟის ნებართვას.

ამასთან არ დგინდება განმცხადებლის უფლებამოსილება, მშენებლობის შეტყობინების დროს, განმცხადებელს წარმოადგენს მიწის ნაკვეთის/შენობა-ნაგებობების მესაკუთრე, მოსარგებლე ან მისი/მათი უფლებამოსილი პირი, რომელსაც აქვს შეტყობინებით განსაზღვრული სამუშაოების წარმოების ინტერესი. აქედან გამომდინარე წარმოდგენილ იქნეს განმცხადებლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი.

ვინაიდან მიწის ნაკვთი დატვირთულია იპოთეკით, წარმოსადგენია იპოთეკარის სს „ თიბისი ბანკი“ს თანხმობა აღნიშნულთან დაკავშირებით.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად. თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს სრულყოფილ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.